

## კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

### COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

**1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?**

- ოლიგარქიასთან ბრძოლა და მონოპოლიების (ასევე ოლიგოპოლიების) დაშლა, როგორც საკანონმდებლო, ისე სააღსრულებლო დონეზე, მათ შორის: ანტიდემპინგური რეგულაციების შემოღებით, ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის აკრძალვით, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნით;
- ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერების გაზრდა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის და ტურისტული სივრცეების მოსაწყობად;
- საგადასახადო და საკრედიტო შეღავათების დაწესება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;
- კოოპერაციული მეურნეობების ხელშემწყობი ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება.

**2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?**

- შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სადაც მსხვილი ინვესტორები ისარგებლებენ სპეციალური საგადასახადო შეღავათებით; მათ ყოველმხრივ ხელი შეეწყობათ, რათა შეუფერხებლად წარმართონ თავიანთი საქმიანობა და დაასაქმონ საქართველოს მოქალაქეები;
- შეიქმნება ჯანსაღი სამართლებრივი გარემო და გატარდება მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმები, რაც უზრუნველყოფს ინვესტორებისა და ბიზნესისთვის უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნას. ვერცერთი ხელისუფალი ვერ შეძლებს ისეთი ტიპის მანიპულაციებს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ამა თუ იმ ბიზნესის თავისუფალ ფუნქციონირებას;

- მოხდება ბაზრის დემონოპოლიზაცია და შეიქმნება ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სადაც ყოველი აქტორი ისარგებლებს თანაბარი უფლებებით და არავინ იქნება პრივილეგირებული სახელისუფლებო ძალების მხრიდან.

**3. გეგმავთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასამდიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.**

- სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების სტატუსის შეცვლის უკიდურესად გამკაცრება, სხვა ქვეყნის მოქალაქეთა დასახლებების წარმოქმნის პრევენციისთვის;
- გადამმუშავებელი წარმოებისა და სამაცივრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- კოოპერაციული მეურნეობების ხელშემწყობი ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება.

**4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?**

- თბილისის აეროპორტის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნება, იაფი სამოგზაურო ფრენები თბილისიდან;
- ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერების გაზრდა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის და ტურისტული სივრცეების მოსაწყობად.

**5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?**

1000 ლარი გაიცემა მოქალაქეზე კოვიდ-პანდემიის დროს მიღებული ზარალის საკომპენსაციოდ.

**6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

**7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ. განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?**

- სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ მოსწავლეზე გაიცემა პერსონალური კომპიუტერი;

- ინტერნეტ პროვაიდერებთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდება ქვეყნის სრულმასშტაბიანი ინტერნეტიზაცია;
- მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და განათლების სფეროში დასაქმებული პერსონალისთვის დაწესდება უფასო ინტერნეტ პაკეტი სწავლების დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის.

### **8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

#### პოლიტიკა და ეკონომიკა

### **1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?**

საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობა უნდა გახდეს სავალდებულო.

### **2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად?**

- პირველი ინსტანციის მოსამართლეები, მუნიციპალური პოლიციის ხელმძღვანელები და პროკურორები უნდა აირჩიოს ხალხმა;
- ზედა ინსტანციის მოსამართლეებს დაამტკიცებს პარლამენტი საპარლამენტო ოპოზიციის არანაკლებ ერთი მესამედის თანხმობით.

### **3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

### **4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?**

სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა. არჩევნებში მონაწილეობა უნდა იყოს სავალდებულო!

### **5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?**

- შევქმნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალ სასწავლო პროგრამებს სკოლამდელი განათლების სფეროში პროფესიონალი კადრების მოსამზადებლად;
- სპეციალისტებთან, მკვლევრებთან, ტრენერებთან, ლექტორებთან და მესამე სექტორის წარმომადგენლებთან ერთად შევიმუშავებთ სატრენინგო პროგრამებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს არაკვალიფიციური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთვება ყველა აღმზრდელი, რომლებიც უკვე დასაქმებული არიან სკოლამდელ დაწესებულებებში;

- 70 ახალი საბავშვო ბაღი, რომელთაგან თითოეული იქნება მინიმუმ 200 ბავშვზე გათვლილი. შევძლებთ შევამციროთ ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა!
- სკოლებში მოსწავლეებისთვის დაწესდება ერთჯერადი კვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით!
- ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვა სკოლებში - ყველა სკოლას ეყოლება საკუთარი ფსიქოლოგი!
- სასკოლო მასალა სრულად უნდა პასუხობდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების სტანდარტებს;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება სწავლება უმაღლესი სასწავლებლის ყველა საფეხურზე!
- სტატუსშეწყვეტილ სტუდენტებს დავაბრუნებთ აუდიტორიებში;
- 1000 წარმატებული სტუდენტი ყოველწლიურად გაიგზავნება მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში;
- პროფესიული განათლების დიპლომის გათანაბრება აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დიპლომთან.

**6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

**7. დაასახელოთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

**8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

**9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

### საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

**1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?**

- ჯანდაცვის სრული უზრუნველყოფა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ამის საშუალება თავად არ გააჩნიათ. იგულისხმება ამბოლატორიული, სტაციონარული, სარეაბილიტაციო და მედიკამენტოზური მკურნალობა;
- მრავალპროფილიანი საავადმყოფო საქართველოს ყველა რეგიონში!
- ჯანდაცვისა და ფარმაცევტული სფეროების დემონოპოლიზაცია, შედეგად კი მედიკამენტებისა და მკურნალობის ხარჯების მკვეთრად გაიფხვრა;
- ნარკომანიის მკურნალობის, ალკოჰოლიზმისა და თამბაქოს მოხმარების შემცირებისკენ მიმართული სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების დაფინანსება.

## 2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

- 500 ლარით განისაზღვრება მინიმალური სახელფასო ზღვარი სრულ სამუშაო განაკვეთზე;
- დაინერგება საათობრივი ანაზღაურების პრინციპი;
- 200-ლარიანი შემწეობა დაენიშნება ყველა მრავალშვილიან ოჯახს თითოეულ ბავშვზე;
- ვეტერანებს 22-ის ნაცვლად მიეცემა 300 ლარი;
- გაორმაგდება სოციალური დახმარება;
- უმუშევრებზე გაიცემა უმუშევრობის დროებითი კომპენსაცია;
- კაზინოებს გავიტანთ ქალაქგარეთ, მკაცრად შეიზღუდება ონლაინ აზარტული თამაშები;
- ხელს შეუწყობთ სპორტული, კულტურული, კლუბური და ღამის ცხოვრების განვითარებას.

## 3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია;

## 4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

- განათლების რეფორმა - მასწავლებლების გადამზადება! ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პედაგოგთა შერჩევას პრიორიტეტი მიენიჭება ქართული და ეთნიკური უმცირესობების ენის სრულფასოვან ცოდნას;
- ეკონომიკური რეფორმა - სახელმწიფოს მიერ გაცემული ყველა გრანტის 5% მოხმარდება უმცირესობათა ბიზნესიდეების, სტარტაპების დაფინანსებას, ან დაიხარჯება ისეთ იდეებზე, რომლებიც უმცირესობათა დასაქმებას ითვალისწინებს;
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა - ყველა სახელმწიფო საიტი და ელექტრონული მომსახურების სერვისი გახდება ადაპტირებული უმცირესობებისთვის, როგორც ეთნიკური ნიშნით უმცირესობებისთვის, ისე შშმ პირებისთვის. გარდა ამისა,

საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საინფორმაციო გამოშვების გარდა, ყველა გადაცემა კულტურის, პოლიტიკის თუ სხვა თემატიკაზე ადაპტირებული იქნება უმცირესობებისთვის. ასევე დაწესდება სახელმწიფო საგრანტო კონკურსები, რომლებიც დააფინანსებს სოციალურ ქსელში საინფორმაციო, სატელევიზიო, გასართობი თუ სხვა სახის კონტენტის შემქმნელ ბიზნესს.

**5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.**

- მაქსიმალურად წახალისდება ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში;
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში შეიქმნება პოლიტიკური სკოლები, სადაც ახალგაზრდა ასაკიდანვე ქალებს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღონ პოლიტიკური განათლება და გამოცდილება, გაიუმჯობესონ და განავითარონ ინდივიდუალური შესაძლებლობები;
- გაუქმდება საკანონმდებლო ორგანოში ქალთა კვოტირების სისტემა. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ქალთა წარმომადგენლობა იზრდებოდეს ბუნებრივად და არა ხელოვნური ჩარევის შედეგად.

**6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

- სკოლებში დაწესდება მოსწავლეებისთვის ერთჯერადი კვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით!
- ყველა სკოლის სასადილოში დაინერგება ელექტრონული სისტემა და ყველა მოსწავლეს გადაეცემა ინდივიდუალური ელექტრონული ბარათი;
- სასადილოებში ნაღდი ფულით ანგარიშსწორება აიკრძალება;
- პროგრამის მონაწილე მოსწავლეებს შეეძლებათ ბარათის გატარებით მიიღონ წინასწარ განსაზღვრული ულუფა. ხარჯებს დააფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილი „მომავლის ფონდიდან“.

მსგავსი მოდელი წარმატებით ფუნქციონირებს აშშ-ში. კვების ექსპერტები დაადგენენ მოსწავლისთვის აუცილებელ კვებით რაციონს და ყველა სკოლის სასადილო ვალდებული იქნება ამ ფორმით უზრუნველყოს მოსწავლე განსაზღვრული საკვებით. შეიქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს სასადილოებში ჰიგიენური და სანიტარიული ნორმების დაცვას. ტენდერები გამოცხადდება ქართველი/ადგილობრივი ფერმერებისთვის და სკოლების სასადილოები მომარაგდება მხოლოდ საქართველოში წარმოებული პროდუქციით. ეს წახალისებს ადგილობრივ გლეხებს და დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალზე.

- ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვა სკოლებში - ყველა სკოლას ეყოლება საკუთარი ფსიქოლოგი!

ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენი მოსწავლე, ვისი მხრიდან და რა ფორმით ხდება ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, არარსებული სტატისტიკის მიუხედავად, ყოველდღიურად ვაწყდებით ბულინგისა და ძალადობის არაერთ ფაქტს სკოლებში. სწორედ ამიტომ, სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სკოლებში მსგავსი ფაქტების მინიმუმამდე შესამცირებლად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით, ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში შევძლებთ, რომ ყველა საჯარო სკოლას ჰყავდეს საკუთარი ფსიქოლოგი, ჯამში 2300 ფსიქოლოგზე მეტი. მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს ფსიქოლოგად დასაქმების მსურველთა გადამზადება/დატრენინგებას ან ამ ტიპის გადამზადება/დატრენინგების ორგანიზებას. აღნიშნული პროგრამა შექმნის 2300 სამუშაო ადგილს.

- შეიქმნება ბავშვთა ომბუდსმენის აპარატი;

ბავშვთა ომბუდსმენი ჩამოყალიბდება ცალკე ინსტიტუტად, რომლის მთავარი მოვალეობა სწორედ ქვეყანაში ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის კანონმდებლობის შექმნა/სრულყოფა და იმპლემენტაციაზე მეთვალყურეობა იქნება. გარდა ამისა, მასვე დაევალება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაზე მონიტორინგი და საკანონმდებლო პროცესებში ჩართულობა.

## 7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

- სახელმწიფო ხელშეწყობით და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით, საქართველოს ყველა ქალაქში გაიხსნება თანამედროვე სტანდარტების კინოთეატრი;
- გაიცემა გრანტები ქართული კინემატოგრაფიის განსავითარებლად;
- ხელი შეეწყობა კლუბური და ღამის ცხოვრების განვითარებას როგორც დედაქალაქში, ისე სხვა ქალაქებში;
- მოეწეობა სპეციალური ღონისძიებები, სადაც ხელოვნების წარმომადგენლებს მიეცემათ საშუალება, ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი თავი და შემოქმედება.

## 8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

- თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში განისაზღვრება ტერიტორიები, სადაც ოთხ სართულზე მაღალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე გამოცხადდება დროებითი მორატორიუმი;
- ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად გაკონტროლდება საწვავის ხარისხი და დაწესდება ავტოტრანსპორტის ტექნოლოგიების სათანადო ნორმები. ამ უკანასკნელისთვის ამუშავდება მოსახლეობის მხარდამჭერი საბიუჯეტო თანადაფინანსების პროგრამა;

- დაინერგება სამშენებლო სამუშაოებისას მტვრის წარმოქმნის შემზღვევითი თანამედროვე ნორმები და მკაცრად გაკონტროლდება მათი შესრულება;
- ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დამაბინძურებელი საწარმოებისთვის შემუშავდება დროში მკაცრად გაწერილი (არაუმეტეს ერთი საპარლამენტო ვადისა) პროგრამა, მათ საქმიანობაში ევროპულ სტანდარტების დასაწერად.
- დადგინდება ურბანული გამწვანებული ტერიტორიების საზღვრები, ინვენტარიზაციას დაექვემდებარება ხე-ნარგავები და სრულად აიკრძალება ჯანმრთელი ხეების ჭრა, მშენებელ კომპანიებს, ნებართვის მიღებისას, ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეკისრებათ მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება გამწვანებული ტერიტორიის ფართობის სულ მცირე 50%-ით გაზრდისთვის აუცილებელი სამუშაოები;
- ამუშავდება ნარჩენების განცალკევებული შეგროვება-გატანისა და გადამუშავების მხარდაჭერი ეროვნული პროგრამა. საქართველოში პირველად შეიქმნება ადგილობრივი წარმომავლობის სახიფათო ნარჩენების სპეციალური პოლიგონი;
- საკანონმდებლო დონეზე აიკრძალება დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;
- აუცილებლობის შემთხვევაში, მცირე ჰიდროელექტროსადგურები აშენდება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თანხმობით, შესაბამისი პლემბისციტის ორგანიზების, მისი შედეგების სავალდებულოდ გათვალისწინების პირობითა და ევროპული სტანდარტების დაცვით;
- შემუშავდება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და ალტერნატიული (მზის, ქარის და სხვ.) ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობი ფართომასშტაბიანი პროგრამები; მათ შორის, ინდივიდუალური სისტემებისა და მასალების შექმნა-მონტაჟის მხარდაჭერა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, მოქალაქისთვის გრძელვადიანი უპროცენტო სესხების გაცემის გზით.

**9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?**

განვითარდება მუნიციპალური ტრანსპორტი. გაიზრდება ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა. ეტაპობრივად განვითარდება მეტრო და მოიცავს თბილისის იმ უბნებს, სადაც ამის საჭიროება ცალსახად არსებობს. ქალაქში დაბრუნდება ტრამვაი.

**10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?**

გაიცემა სახელმწიფო გრანტები ისეთი მიმართულებების გასაძლიერებლად, როგორცაა ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა პოლიტიკაში, არაფორმალური განათლება ახალგაზრდებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა სამოქალაქო პროცესებში და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, დემოკრატიის ხარისხის ზრდა და ა.შ.

*საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები*



1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება:

1. ნაკისრი ვალდებულებების დაჩქარებული წესით შესრულება;
2. ოკუპირებული რეგიონების შერიგების პოლიტიკისა და მათი მშვიდობიანი ინტეგრაციის მხარდაჭერა;
3. ალიანსის პარტნიორ ქვეყნებთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება;
4. ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) გაფართოება - იგი გულისხმობს უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენელთა სრული სპექტრის მონაწილეობას და პროფესიული განვითარების მხრივ კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამერიკასთან ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულების დადება:

- ორჯერ გაიზრდება დიპლომატთა რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- შეიქმნება დიპლომატთა სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრები იმუშავებენ ამერიკასა და საქართველოს შორის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების გასაფორმებლად;
- შეიცვლება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- სამხედრო თავსებადობის გასაძლიერებლად, პირველ ეტაპზე, შეიქმნება ანტიტერორისტული ცენტრი კავკასიის რეგიონში ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების მიზნით;
- საფუძველი ჩაეყრება ყოველწლიურ სამხედრო წვრთნას ამერიკასა და საქართველოს შორის.

ამერიკული საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო სამხედრო ბაზების გახსნა:

- სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით დაიწყება აქტიური მოლაპარაკებები პარტნიორ ამერიკის შეერთებულ შტატებთან;
- საქართველოს მასშტაბით შეირჩევა სამი ადგილი შემდგომში ბაზების განსათავსებლად.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

ამერიკასთან ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულების დადება:

- ორჯერ გაიზრდება დიპლომატთა რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- შეიქმნება დიპლომატთა სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრები იმუშავებენ ამერიკასა და საქართველოს შორის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების გასაფორმებლად;
- შეიცვლება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;

- სამხედრო თავსებადობის გასაძლიერებლად, პირველ ეტაპზე, შეიქმნება ანტიტერორისტული ცენტრი კავკასიის რეგიონში ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების მიზნით;
- საფუძველი ჩაეყრება ყოველწლიურ სამხედრო წვრთნას ამერიკასა და საქართველოს შორის.

### **3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?**

ევროპული სტანდარტების შესაბამისად შეიქმნება საკანონმდებლო ჩარჩოები და მოხდება მათი აღსრულება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: შრომის უსაფრთხოება, საკვების ხარისხის კონტროლი, სამშენებლო ინდუსტრია, გამწვანება და ა.შ. გატარდება მნიშვნელოვანი რეფორმები ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გასაძლიერებლად პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში.

### **4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად სახელმწიფო ააშენებს ანაკლიის პორტს.

#### *ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა*

### **1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?**

- მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რუსეთმა მშვიდობიანად დაიწყოს დეოკუპაცია, აღდგეს უვიზო რეჟიმი, ხოლო ქართველი გლეხი და ბიზნესმენი დაბრუნდეს რუსულ ბაზარზე;
- წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში განვითარდეს აშშ-ის სამხედრო ბაზას, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს დონეზე დაცვას;
- ეროვნული უსაფრთხოების განსამტკიცებლად აუცილებელი იქნება ქართველი ხალხის ისტორიული და მიმდინარე გენოციდის საერთაშორისო დონეზე აღიარება;
- შეჩერდება უცხოელთა მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში. შეიქმნება სპეცფონდი ჩვენი ემიგრანტების დასაბრუნებლად.

### **2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

### **3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

### **4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?**



- ე.წ. სასაზღვრო ზოლში განთავსდებიან საპატრულო და სპეციალური რაზმის დანაყოფები, რომლებიც ადეკვატურ რეაგირებას მოახდენენ საქართველოს მოქალაქეების მოტაცების მცდელობისას, ასევე აღკვეთენ ე.წ. საზღვრის გადმოწევის მცდელობებს;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმდება ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება;
- საქართველოში განთავსდება აშშ-ის სამხედრო ბაზები, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტის ეფექტურ დაცვას.